საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 27 აპრილი, 2013 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01 / 26

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის (2013-2019 წწ.) დამტკიცების შესახებ

,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის I პუნქტისა და უნივერსიტეტის წესდების 9-ე მუხლის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2013-2019 წწ.), თანახმად დანართისა.

2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე ე. მესხია

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს 2013 წლის 27 აპრილის
№ 04-01/26 დადგენილების
დანართი

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2013-2019 წწ.)

შესავალი

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 14 აგვისტოს N 146 დადგენილებით სსიპ-შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ფაკულტეტის ბაზაზე შეიქმნა სსიპ-ბათუმის ხელოვნების ინსტიტუტი, რომელსაც საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 ოქტომბრის N 180 დადგენილებით ეწოდა სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი.

ქ. ბათუმში უმაღლესი სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების ისტორია სათავეს იღებს გასული საუკუნის 90–იანი წლებიდან. 1995 წლის 29 სექტემბერს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით ქ. ბათუმში ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტი დაარსდა. რამდენიმე წელიწადში ხელოვნების ინსტიტუტი იქცა წამყვან სახელოვნებო საგანმანათლებლო ცენტრად. 1996 წელს ხელოვნების ინსტიტუტთან გაიხსნა საბალეტო სტუდია ორი ასაკობრივი ჯგუფისათვის. 1999 წელს საბალეტო სტუდია გამოეყო ხელოვნების ინსტიტუტს საბალეტო სკოლა-სასწავლებლის სტატუსით. 1998 წელს ხელოვნების ინსტიტუტის მუსიკალურ დისციპლინათა ფაკულტეტის ბაზაზე გაიხსნა ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული უმაღლესი საგანმანათლებლო, სახელოვნებო და ზოგიერთი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების რეორგანიზაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 23 თებერვლის N 137 დადგენილებით ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტი და ბათუმის სახელმწიფო კონსერვატორია გაერთიანდა ახლადდაფუძნებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ხელოვნების ფაკულტეტის სტატუსით.

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში არის ერთადერთი უმაღლესი სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ერთდროულად ახორციელებს სწავლებას ხელოვნების ოთხივე მიმართულებით: თეატრი, კინო, მუსიკა, სახვითი ხელოვნება. უნივერსიტეტში სწავლება ორსაფეხურიანია: ბაკალავრიატი, მაგისტრატურა. მოქმედებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებიც.

ხელოვნების უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა ეფუძნება დასახელებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დამკვიდრებული ტრადიციების გაგრძელებასა და იმ პრიორიტეტების განხორციელებას, რომელიც თანამედროვე ეტაპზე ქვეყანაში დგას უმაღლესი სახელოვნებო განათლების წინაშე.

ხელოვნების უნივერსიტეტის მისია

ხელოვნების უნივერსიტეტის მისიაა:

- უმაღლესი სახელოვნებო განათლების თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი საგანმანთლებლო პროგრამების განხორციელებით კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, ზნეობრივად სრულყოფილი სპეციალისტების მომზადება და საზოგადოების მოთხოვნების დაკმაყოფილება;
- რეგიონში დაიკავოს კულტურისა და ხელოვნების მნიშვნელოვანი და წამყვანი საგანმანათლებლო, შემოქმედებითი და კვლევითი ცენტრის ადგილი.

აღნიშნული მისიიდან გამომდინარე,

1. **ხელოვნების უნივერსიტეტის მიზანია:**

• უმაღლესი სახელოვნებო განათლების სფეროში ისეთი საგანმანათლებლო პროგრამებისა და ამ პროგრამების განხორციელებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა, როგორც ეს ქვეყნის საკანონმდებლო აქტებით, ბოლონიის დეკლარაციითა და სახელოვნებო ინსტიტუტების ევროპული ლიგის ასოციაციის (ELIA) ფუძემდებლური პრინციპებითაა განსაზღვრული.
• სტუდენტებზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო გარემოს შექმნა და უნივერსიტეტის ინტეგრაცია სახელოვნებო საგანმანათლებლო სივრცეში.
• ქვეყნის, რეგიონისა და საზოგადოების ინტერესების შესატყვისი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება.
• გახდეს ერთ-ერთი წამყვანი უნივერსიტეტი უმაღლესი სახელოვნებო განათლების ევროპულ სივრცეში, ტრადიციული სპეციალობებით, მიუახლოვდეს თანამედროვე მოთხოვნებს და დანერგოს ახალი სპეციალობები;
• უზრუნველყოს ქართული კულტურისა და ხელოვნების (გამოყენებითი, სახვითი, სასცენო, ქორეოგრაფიული, კინო-ტელეხელოვნება, არქიტექტურა, მუსიკა, ჰუმანიტარული (ხელოვნებათმცოდნეობა), ხელოვნების მასწავლებელი, კულტურის მენეჯმენტი, მედია, კულტურული ტურიზმი, საბიბლიოთეკო და სამუზეუმო საქმე და სხვა) დარგების მაღალკვალიფიციური კადრებით აღჭურვა, საუნივერსიტეტო განათლებისა და შემოქმედებით-სამეცნიერო კვლევების განვითარება;
• მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით; სახელოვნებო, კვალიფიკაციის ამაღლების, გადამზადების, უწყვეტი განათლების, სხვა საგანმანათლებლო პროგრამების, მაღალი ტექნოლოგიებისა და თანამედროვე ექსპერიმენტების განხორციელება;
• სტუდენტის ჩამოყალიბება ჭეშმარიტ მოქალაქედ, თავისუფლებისმოყვარე და დემოკრატ პიროვნებად;
• უნივერსიტეტის ინტეგრაცია მსოფლიო საგანმანათლებლო და შემოქმედებით–სამეცნიერო სივრცეში; საქართველოსა და უცხოეთის უნივერსიტეტებთან ერთობლივი სასწავლო პროგრამებისა და შემოქმედებით-სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელება;
• უნივერსიტეტში მიღებული ცოდნის რეალიზება ქართული საზოგადოების წიაღში;

• სტუდენტის პიროვნული პოტენციალის რეალიზება, შემოქმედებითი უნარ–ჩვევების განვითარება, მაღალი ხარისხის უმაღლესი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების გზით;
• სტუდენტების აღზრდა ქართული და მსოფლიო კულტურის ფასეულობებზე, მათი ორიენტირება ეროვნული ტრადიციების დაცვაზე, სამოქალაქო საზოგადოებისა და ჰუმანიზმის იდეალების განვითარებაზე;
• სპეციალისტთა გადამზადება, დამატებითი განათლების მისაღებად მრავალფეროვანი პროგრამების შემუშავება და უწყვეტი განათლების სისტემის დანერგვა;
• უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე ადგილობრივი და უცხოელი აკადემიური პერსონალის მოწვევა;
• საგანმანთლებლო, შემოქმედებითი და სამეცნიერო კვლევებისათვის უახლესი ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი გარემოს შექმნა, მეთოდური და ინფორმაციული უზრუნველყოფა;

2. **ჩამოყალიბებული მიზნების მისაღწევად ხელოვნების უნივერსიტეტის ამოცანაა:**

• აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტთა მონაწილეობით შეიმუშაოს სტრატეგიული განვითარებისა და კალენდარული გეგმები:
• განახორციელოს აკადემიური უმაღლესი განათლების პროფესიული, საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანთლებლო პროგრამები; პროფესიული მომზადებისა და გადამზადების მოკლევადიანი საგანმანთლებლო პროგრამები და კურსები;
• ღია კონკურსის საფუძველზე მოახდინოს აკადემიური პერსონალის შერჩევა;
• შეასრულოს სხვადასხვა საპროექტო სამუშაოები და სამეცნიერო კვლევები;
• ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტური მეთოდების გამოყენებით მიაღწიოს სწავლებისა და კვლევის მაღალ დონეს;
• განახორციელოს საგანმანთლებლო და შემოქმედებითი საქმიანობა, მოამზადოს და გამოაქვეყნოს სახელმძღვანელოები, სამეცნიერო და მეთოდური კრებულები, სხვა სასწავლო ლიტერატურა;
• უზრუნველყოს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღებისა და მათი შესრულების კონტროლის პროცესში;
• უზრუნველყოს მართვის საჯაროობა და გამჭვირვალობა;
• ითანამშრომლოს საქართველოს და უცხოეთის უმაღლეს სახელოვნებო და სხვა ტიპის საგანმანათლებლო და შემოქმედებით დაწესებულებებთან, კავშირებთან და ასოციაციებთან;
• ჩაატაროს სტუდენტთა საერთაშორისო და რესპუბლიკური ფესტივალები, კონკურსები, გამოფენები, პროფესორ–მასწავლებელთა და სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები;
• მონაწილეობა მიიღოს რეგიონის შემოქმედებით და კულტურულ ღონისძიებებში.

დასახული ამოცანების განსახორციელებლად ხელოვნების უნივერსიტეტი უზრუნველყოფს კონკრეტული ღონისძიებების გატარებას შემდეგი მიმართულებებით:

სასწავლო პროცესი:
ხელოვნების უნივერსიტეტი თავისი მისიიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სასწავლო-შემოქმედებითი და კვლევითი პროცესების დაგეგმვასა და ჩატარებას ისე, რომ შესაძლებელი იყოს საგანმანათლებლო პროგრამების მაღალ დონეზე განხორციელება. სწავლისა და სწავლების პროცესი ხელს შეუწყობს სტუდენტის შემოქმედებითი და ინტელექტუალური შესაძლებლობების რეალიზებას და მისი კონკურენტუნარიან პროფესიონალად ჩამოყალიბებას.

გასატარებელი ღონისძიებები.
თანამედროვე სტანდარტების ახალი უმაღლესი სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამების მომზადება; არსებული სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამების გადამუშავება თანამედროვე მოთხოვნებისა და სტანდარტების შესაბამისად, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ხელოვნების უნივერსიტეტის პრიორიტეტები, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონალური ინტერესები, ქვეყნის და საერთაშორისო საბაზრო მოთხოვნების პრინციპები.
სტუდენტების, დამსაქმებელებისა და საზოგადოების დაინტერესებული პირების ჩართვა საგანმანთლებლო პროგრამების შემუშავებისა და სასწავლო პროცესის შეფასება-ანალიზის დროს.

აკადემიური პერსონალი. უნივერსიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად რჩება ზრუნვა და კონკრეტული ღონისძიებების გატარება აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია, გამოცდილება, შემოქმედებითი და კვლევითი წარმატებები განსაზღვრავს სწავლების ხარისხს და კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის დონეს.

გასატარებელი ღონისძიებები. უნივერსიტეტი ტრადიციულად ხელს შეუწყობს ახალგაზრდა სპეციალისტების მოწვევას, მათ სტაჟირებას, აკადემიური და შემოქმედებითი მივლინებებით წარგზავნას პარტნიორ უნივერსიტეტებში, სპეციალისტთა შემოქმედებითი და კვლევითი პროექტების ხელშეწყობას და დაფინანსებას.

შემოქმედებითი მუშაობა. ხელოვნების უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს შემოქმედებითი მუშაობა სტუდენტებთან და შემოქმედებითი პროექტების განხორციელება.

გასატარებელი ღონისძიებები. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შემოქმედებითი მუშაობისათვის აუცილებელი რესურსების მოზიდვას; ხელს შეუწყობს სტუდენტების ჩართვას სხვადასხვა შემოქმედებით პროექტებში, მათ მონაწილეობას სხვადასხვა კონკურსებში, ფესტივალებში და სხვა პროექტებში.

კვლევითი მუშაობა. ხელოვნების უნივერსიტეტის პრიორიტეტულ მიმართულებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კულტურისა და ხელოვნების დარგში სამეცნიერო-კვლევით მუშაობას; ხელოვნების უნივერსიტეტის ბაზაზე რეგიონალური კვლევითი ცენტრის შექნას, რომელიც ორიენტირებული იქნება კულტურის და ხელოვნების სხვადასხვა დარგში განახორციელოს მიზნობრივი შემოქმედებით-კვლევითი პროექტები.
გასატარებელი ღონისძიებები. რეგიონის მუსიკალური ფოლკლორის შესწავლის მიზნით ლაბორატორიის შექმნა და ამასთან დაკავშირებით საკადრო და

მატერიალურ-ტექნიკური საკითხების გადაწყვეტა; პარტნიორი უნივერსიტეტებიდან და დაწესებულებებიდან სპეციალისტების მოწვევა კონსულტანტებად; სამეცნიერო რეგიონალური და საერთაშორისო კონფერენციების ჩატარება; ფოლკლორის მუსიკალური ფესტივალის ჩატარება; სამეცნიერო კონფერენციების პროგრამების, თეზისებისა და კრებულების გამოცემა; ცალკეული სამეცნიერო ნაშრომების, მონოგრაფიების გამოცემა; სპეციალისტების სამეცნიერო მივლინება ქვეყნის შიგნით და უცხოეთში.

საბიბლიოთეკო და საგამომცემლო საქმიანობა. ხელოვნების უნივერსიტეტი სასწავლო, შემოქმედებით-კვლევითი პროცესის სრულყოფისა და განვითარების მიზნით მნიშვნელოვან ყურადღებას დაუთმობს უნივერსიტეტის საბიბლიოთკო ქსელის განვითარებას.

გასატარებელი ღონისძიებები. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ბიბლიოთეკის შევსებას ახალი ლიტერატურით, სამკითხველო დარბაზის უზრუნველყოფას სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით; ბიბლიოთეკის ჩართვას საერთაშორისო საბიბლიოთეკო პროექტებში.

უნივერსიტეტის ამოცანებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა საგამომცემლო საქმიანობას; სისტემატური ხასიათი მიეცემა ყოველწლიური სამეცნიერო კრებულის "ხელოვნებათმცოდნეობითი ეტიუდები" გამოცემას; ელექტრონული ჟურნალის გამოცემას; პროფესორ-მასწავლებელთა სახელმძღვანელოების, ლექციების კურსების წიგნად გამოცემას; უცხო ენოვანი სახელმძღვანელოების ქართულ ენაზე თარგმნას და წიგნად გამოცემას.

პარტნიორობა, თანამშრომლობა და გაცვლითი პროგრამები. უნივერსიტეტის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს უმაღლესი სახელოვნებო განათლების სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობა და პარტნიორ დაწესებულებებთან ურთიერთობა; სტუდენტურ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა.

გასატარებელი ღონისძიებები. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს კიდევ უფრო განვითარდეს კავშირები პარტნიორ დაწესებულებებთან და უნივერსიტეტებთან როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე უცხოეთში.

ამ მხრივ, მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის გაწევრიანება ევროპის ხელოვნების ინსტიტუტების საერთაშორისო ლიგაში, ურთიერთთანამშრომლობის მიზნით გადადგმული ნაბიჯები ბულგარეთის, ლიტვის, უკრაინის, აზერბაიჯანის, სომხეთის უნივერსიტეტებთან, სხვადასხვა საერთაშორისო კულტურულ ცენტრებთან, ქვეყნის საგანმანათლებლო და კულტურის დაწესებულებებთან. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საერთაშორისო პარტნიორობის გაფართოებას და სტუდენტების ჩართვას სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებში და გაცვლით პროგრამებში.

აბიტურიენტებთან მუშაობა. ხელოვნების ნიჭით დაჯილდოებული საუკეთესო აბიტურიენტთა მოზიდვა.

გასატარებელი ღონისძიებები.
ეფექტური და ძლიერი მარკეტინგული და პიარ ინიციატივების მეშვეობით, შემოქმედებითი უნარების მქონე აბიტურიენტების მოზიდვა და მათი რიცხვის ზრდა, საგანმანათლებლო სემინარების, შემეცნებით-გასართობი ღონისძიებების, ოლიმპიადების, აბიტურიენტთა საზაფხულო ბანაკის შეთავაზებითა და განათლების

ხარისხის მუდმივი გაუმჯობესებით, უნივერსიტეტის პროექტებში აბიტურიენტთა ჩართვით.

სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე. თანამედროვე განათლების მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენს განათლების ისეთი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქეთა განათლებას მთელი სიცოცხლის მანძილზე.

გასატარებელი ღონისძიებები. კვალიფიკაციის ამაღლების მოკლევადიანი კურსების საგანმანათლებლო პროგრამების მომზადება. მოქალაქეთათვის არჩევითი მოდულების, კურსების შეთავაზება და შესაბამისი პირობების შექმნა.

მატერიალური-ტექნიკური ბაზის სრულყოფა: ფაკულტეტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივი გაუმჯობესება, სასწავლო ინსტრუმენტებითა და ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტის პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებასა და განვითარებას.

გასატარებელი ღონისძიებები. უნივერსიტეტის კაბინეტების, სარეპეტიციო დარბაზების, შემოქმედებითი სახელოსნოების, კომპიუტერული და უცხო ენის შემსწავლელი კაბინეტის აღჭურვა თანამედროვე ტექნიკით, მუსიკალური ინსტრუმენტებით, უახლესი ტექნოლოგიური საშუალებებით, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსება ახალი ლიტერატურით, სასწავლო თეატრისა და კინო-ტელე კაბინეტის უზრუნველყოფა გადასაღები, განათების, ხმის გამაძლიერებელი, ჩამწერი და სხვა ტექნიკური საშუალებებით.

ხელოვნების უნივერსიტეტი აცნობიერებს რა თავის მისიას ქვეყნისა და რეგიონის წინაშე, მზად არის საქართველოს უმაღლესი სახელოვნებო განათლების სიტემაში დამკვიდრებული ტრადიციების გათვალისწინებით დანერგოს თანამედროვე სწავლების ნოვატორული მეთოდები და აღზარდოს სახელოვნებო დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც შემოქმედებით წვლილს შეიტანენ ეროვნული კულტურის, ტრადიციებისა და ფასეულობების განვითარებაში.

ძლიერი მხარეები *Strengths*	*სუსტი მხარეები* *Weaknesses*
● კაპიტალური შენობა; ●უნივერსიტეტის მისია, მიზნები და ამოცანები თანხვედრაშია საქართველოს სახელოვნებო დარგებთან და მათი მოღვაწეობის სფეროებთან; ●მისიის, ამოცანების და მიზნების მხარდაჭერა ხორციელდება უნივერსიტეტის ყველა მიმართულებით და ყველა დონეზე; ●უნივერსიტეტის მისიის, მიზნების და ამოცანების განხორციელების კარგი სარესურსო პოტენციალი, როგორც მატერიალური, ასევე ადამიანური; ●ხელოვნების უნივერსიტეტი ამზადებს სპეციალისტებს სახელოვნებო სტრუქტურის მრავალი დარგისთვის, რომელიც უზრუნველყოფს რეგიონის შემოქმედებითი სახმიანობის ამაღლებას; ●პროფესორ-მასწავლებლების საშუალო ასაკი 40-55 წელია, რაც ქმნის იმის საშუალებას და პერსპექტივებს, რომ სტუდენტმა სამომავლოდ გააგრძელოს ეფექტური საქმიანობა; ●ხშირი მასტერკლასები, სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა ჩართულობა საგანმანათლებლო პროცესებში, რაც განაპირობებს მათ ეფექტურ და მრავალფეროვან საქმიანობას; ●სწავლაში საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება; ●გამართული პროგრამები, შესაბამისი სილაბუსებით; ●კომპიუტერებით და ინტერნეტით უზრუნველყოფა; ●სპეციფიკიდან გამომდინარე გამართული აუდიტორიები და ლაბორატორიები; ●ბიბლიოთეკის ფონდის განახლება, ელექტრონული ბიბლიოთეკის არსებობა; ●საერთაშორიშო თანამშრომლობის გამოცდილება, სასწავლო და შემოქმედებით სფეროში; ●საბაზრო მოთხოვნებზე დაყრდნობით, ეროვნული ტრადიციების გათვალისწინებითა და უცხოეთის წარმატებული უნივერსიტეტების გამოცდილების გათვალისწინებით,შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამები; ●ძირითადი და დამატებითი სპეციალობების, არჩევითი მოდულებისა და საგნების ფართო არჩევანი; ●სტაბილური მისაღები კონტინგენტი; ●კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი პროცენტული მაჩვენებელი; ●საქართველოში ყველაზე ხელმისაწვდომი და უცვლელი სწავლების საფასური; ●სწავლისა და სწავლების თანამედროვე პირობები, პროფესორ-მასწავლებელთა კარგი შემადგენლობა, ცალკეულ დისციპლინებში ქართველი და უცხოელი სპეციალისტების მოწვევის შესაძლებლობა; ●სტუდენტების შემოქმედებითი და კვლევითი მუშაობისათვის, აქტიური სტუდენტური ცხოვრებისათვის ხელშეწყობა, სტუდენტთა თვითრეალიზების კარგი შესაძლებლობა.	●ინოვეციური პროექტების ნაკლებობა უნივერსიტეტის კომპლექსური მოღვაწეობისათვის საერთაშორისო საგანმანათლებლო პროცესებში; ●საშუალო აქტიურობა საერთაშორისო დაფინანსების პროგრამებსა და პროექტებში; ●ორგანიზაციის მისიის, ამოცანების და მიზნების კომპლექსური ფინანსირების შეზღუდული შესაძლებლობა; ●კვალიფიკაციის ამაღლების, ხარისხის და წოდების მინიჭების შეზღუდული საშუალებები; ●არასაკმარისი დაფინანსება სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის; ●ნაკლები ინტერესი საერთაშორისო კონკურსებსა და პროექტებში მონაწილეობისათვის; ●დასმაქმებლელსა და უნივერსიტეტს შორის ნაკლები ურთიერთობა პროგრამების შემუშავების დროს; ●რიგ სპეციალობებზე დოქტორების ნაკლებობა, რაც არ იძლევა მე-3 საფეხურის გახსნის საშუალებას; ●ლიტერატურის ნაკლებობა ქართულ ენაზე, რაც ქმნის წინაღობას სასწავლო პროცესის გამართული მუშაობისათვის; ●კულტურისა და ხელოვნების განვითარებისათვის არასტაბილური სახელმწიფო პოლიტიკა. ზოგიერთ მიმართულებაში (საარქივო, სამუზეუმო და საბიბლიოთეკო განათლების, ზოგიერთი სახელოვნებო მიმართულებით) საგანმანთლებლო სტანდარტების პრობლემა; ●სასწავლო თეატრისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის ნაკლებობა; ●უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან მემორანდუმების გაფორმება. ●უცხოელი პროფესორ-მასწავლებლების მოწვევა სასწავლო პროცესში მონაწილეობის მიზნით; ●ჩვენი პროდეუქტის აქტიური წინ წაწევა შრომის ბაზარზე.

●უნივერსიტეტის მართვისა და სასწავლო პროცესის ადმინისტრირების თანამედროვე სისტემა. ●მოკლევადიანი (ერთწლიანი) და გრძელვადიანი (ექვსწლიანი) სტრატეგიული განვითარების გეგმა; ●სამეცნიერო შრომების კრებული „ხელოვნებათმცოდნეობით იეტიუდები“; ●ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემა(Open biblio); ●სტუდენტების აქტიური მონაწილეობა სტუდენტთა თვითმმართველობის საქმიანობაში; ●სტუდენტების აქტიური მონაწილეობა სტუდენტურ კონფერენციებში; ● სტუდენტთა სასწავლო პრაქტიკის გასავლელად გაფორმებული ხელშეკრულებები და მემორანდუმები შესაბამის ორგანიზაციებთან; ●ELIA-ს წევრობა.	
შესაძლებლობები ***Opportunities***	***საფრთხეები, რისკები*** ***Threats***
●საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოების მიღწევისათვის გატარებული რეფორმები; ●საერთაშორისო საგანმანათლებლო ორგანიზაციების დაინტერესება ურთიერთთანამშრომლობისათვის; ●რეგიონის შემოქმედებითი პოტენციალის ინტეგრაცია უნივერსიტეტის საგანმანათლებლო-სამეცნიერო და ინოვაციურ პოტენციალთან; ●კონკურენციის საშუალო საბაზრო დონე; ●უმაღლესი განათლებლის მიღების მაღალი მოთხოვნა რეგიონში; ●უნივერსიტეტის საგანმანათლებლო სივრცის ინტეგრაცია საერთაშორისო დონეზე; ●სპეციალობების მრავალგვარობა პროფესიულ, საბალაკავრო და სამაგისტრო დონეზე; ●საერთაშორისო კონტაქტების და საშუალებების მოძიება.	●მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, რომელიც ქმნის პირდაპირ ან ირიბ ზემოქმედებას საგანმანათლებლო სივრცის გამართული და სწრაფი ინტეგრაციისათვის საერთაშორისო დონეზე; ●მოსახლეობის ფინანსური შემოსავლების არამდგრადობა, რომელიც საფრთხეს უქმნის კონტიგენტის მომატებას; ●დამსაქმებლების ნაკლებობა - კვალიფიციური კადრების დამკვეთები; ●სპეციალისტთა მაღალი კონკურენცია დასაქმების ბაზარზე. ●განათლების ბაზარზე მუდმივად მზარდი კონკუ-რენციის მაღალი დონე.

სწორია:

SWOT ანალიზი

სიძლიერე:

- ✓ საბაზრო მოთხოვნებზე დაყრდნობით, ეროვნული ტრადიციების გათვალისწინებითა და უცხოეთის წარმატებული უნივერსიტეტების გამოცდილების გათვალისწინებით, შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამები;

- ✓ ძირითადი და დამატებითი სპეციალობების, არჩევითი მოდულებისა და საგნების ფართო არჩევანი;

- ✓ სტაბილური მისაღები კონტინგენტი;

- ✓ თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სარეპეტიციო დარნბაზები და სახელოსნოები, აუდიტორები, კაბინეტები, ბიბლიოთეკა, უსაფრთხო გარემო;

- ✓ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი პროცენტული მაჩვენებელი;

- ✓ საქართველოში ყველაზე ხელმისაწვდომი და უცვლელი სწავლების საფასური;

- ✓ სწავლისა და სწავლების თანამედროვე პირობები, პროფესორ-მასწავლებელთა კარგი შემადგენლობა, ცალკეულ დისციპლინებში ქართველი და უცხოელი სპეციალისტების მოწვევის შესაძლებლობა;

- ✓ სტუდენტების შემოქმედებითი და კვლევითი მუშაობისათვის, აქტიური სტუდენტური ცხოვრებისათვის ხელშეწყობა, სტუდენტთა თვითრეალიზების კარგი შესაძლებლობა.

- ✓ უნივერსიტეტის მართვისა და სასწავლო პროცესის ადმინისტრირების თანამედროვე სისტემა.

სისუსტე

- ✓ აბიტურიენტების არასაკმარისი ინფორმირებულობა, პიარტექნოლოგიების გამოყენების არასაკმარისობა და შესაბამი რესურსების სიმწირე;

- ✓ სახელმწიფო დაფინანსების არასაკმარისი რესურსები;

- ✓ ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების ნაკლებობა;

- ✓ კულტურისა და ხელოვნების განვითარებისათვის არასტაბილური სახელმწიფო პოლიტიკა. ზოგიერთ მიმართულებაში (საარქივო, სამუზეუმო და საბიბლიოთეკო განათლების) საგანმანთლებლო სტანდარტების პრობლემა;

- ✓ სასწავლო თეატრისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის ნაკლებობა;

- ✓ საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში ჩართვის არასაკმარისი რესურსები.

სწორია: